შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებული ბარიერები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

ავტორები: ანა აბაშიძე
ანა არგანაშვილი

დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობდნენ:

თამარ შველიძე
ნინო ჩიკვაიძე
ნანა გოჩიაშვილი

PHR
პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის

ქალადოგისგან დაცვის ეროვნული ქსელი
Anti-Violence Network of Georgia

დამოუკიდებელი ცხოვრების ახალგაზრდული ცენტრი

თბილისი
2016

აღწერა

კვლევა მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ, ევროკავშირის პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მეინსტრიმინგი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში“ ფარგლებში. დოკუმენტი წარმოადგენს სფეროში საპილოტო ნამუშევარს და არა თემის სრულყოფილ კვლევას. იგი განკუთვნილია სამართალდამცავ უწყებათა წარმომადგენლებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. სახელმძღვანელო პრინციპების შინაარსზე პასუხისმგებელი პირები არიან ავტორები. ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ შეესაბამებოდეს ევროკავშირის პოზიციას.

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურები 5

აბსტრაქტი 6

შესავალი 7

1. სტატისტიკა 9

2. მეთოდოლოგია 11

I. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ძალადობა 12

II. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა წინაშე არსებული ძირითადი ბარიერები 15

1. სისტემური ბარიერი 15

2. რეფერირების სისტემის ბარიერი 16

3. კომუნიკაციის ბარიერი 18

4. ვერბალური კომუნიკაციის ბარიერი 19

III. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ ძალადობის გავრცელებული ფორმები 20

ფიზიკური ძალადობის სახეები 21

სექსუალური ძალადობა 22

ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობა 22

IV. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები 23

საქმე № 1: 24

საქმე № 2: 25

საქმე № 3: 26

V. რატომ არ ითხოვს დახმარებას ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი? 27

VI. მითები, რომლებიც ხელს უშლის სამართალდამცავ ორგანოებს და სხვა პასუხისმგებელ პირებს ეფექტურ მუშაობაში 29
VII. დასკვნა 31
VIII. მუშაობის ძირითადი პრინციპები და რეკომენდაციები 32
ბიბლიოგრაფია 35
1. გამოყენებული ლიტერატურა 35
2. გამოყენებული ინტერნეტრესურსები 35

გამოყენებული აბრევიატურები

UNCRPD - გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

PHR - ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“

WHO - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია

აბსტრაქტი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, მოახდინოს იდენტიფიცირება მრავალი ბარიერისა და ხელშემშლელი ფაქტორისა, რომლებიც არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, განსაკუთრებით ქალთა, წინაშე და ხელს უშლის აღნიშნულ სოციალურ ჯგუფს, თავისუფლად და თანასწორად ისარგებლოს მართლმსაჯულების სისტემით.

ხელშემშლელი ბარიერების იდენტიფიცირება, ამავე დროს, დაეხმარება საგამოძიებო ორგანოებს და მართლმსაჯულების თემაზე მომუშავე სხვა დაწესებულებებს, უფრო ეფექტური გახადონ თავიანთი მხრიდან პირველადი რეაგირება ძალადობის შესაძლო ფაქტზე და შემდგომი სიღრმისეული გამოძიება.

დოკუმენტი ხაზს უსვამს სახელმწიფოში არსებული სერვისების ფორმალური და შინაარსობრივი რეგულირების ხარისხს, რაც პირდაპირ განაპირობებს შეთავაზებული სერვისებით მსხვერპლის მიერ სარგებლობის რეალურობას.

სახელმძღვანელო მიმართულებები ქმნის იოლად აღსაქმელ სურათს და სამოქმედო ჩარჩოებს, რათა გაადვილდეს და უფრო ეფექტური გახდეს დანაშაულის თუ დისკრიმინაციული მოპყრობის იდენტიფიცირება და შესაფერისი სამართლებრივი გადაწყვეტა, ისე, რომ სრულად იყოს გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, განსაკუთრებით ქალთა, საჭიროებები.

წინამდებარე დოკუმენტი ცხადად წარმოაჩენს იმ ძირითად ბარიერებს, რომლებიც პრაქტიკაში აფერხებს ან შეუძლებელს ხდის დანაშაულის შესახებ შეტყობინებას, სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებას. დოკუმენტი საშუალებას მისცემს მკითხველს, თავად შეაფასოს არსებული გამოწვევების სირთულე და ხელი შეუწყოს გამოძიების და დანაშაულის შესახებ შეტყობინების სისტემის ადაპტირებას, რესურსების სწორ გათვლასა და მათი რელევანტურობის შეფასებას.

საკითხი მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტების გამო: როცა ბარიერების გადალახვა შეუძლებელია, დანაშაულის შესახებ შესაბამის ორგანოებს არ ატყობინებენ, გამოძიებას ექმნება სირთულეები, ეს კი უკავშირდება დამნაშავის დაუსჯელობას და ფერხდება ახალი დანაშაულის პრევენცია.

დოკუმენტი აქცენტს აკეთებს იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომელთა ხელმომწერ მხარესაც წარმოადგენს საქართველო.

სახელმძღვანელო პრინციპები, პრობლემის გათვალისწინებით, გვთავაზობს ზოგად რეკომენდაციებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, როგორც ძალადობის მსხვერპლთა, დახმარების მიზნით გასატარებელი რეფორმების შესახებ. ეს რეფორმები უზრუნველყოფს ამ პირების წინაშე არსებული ბარიერების დაძლევას, მათ ეფექტიან დაცვასა და მხარდაჭერას.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული დოკუმენტი არ წარმოადგენს საკითხის სრულყოფილ ანალიზს; ის ყურადღებას ამახვილებს პრობლემის ძირითად კონტურებსა და მიმართულებებზე, რომლებიც შემდგომში სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს.

შესავალი

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც ნაკლებად რეალიზდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, განსაკუთრებით ქალების, შემთხვევაში. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებას ყველაზე ეფექტურად იყენებენ ფინანსურად უზრუნველყოფილი, კულტურული და პოლიტიკური ძალაუფლების მქონე მოქალაქეები, რომელთა შორის ნაკლებად მოიაზრება სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენლები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომელთა წინაშეც გაცილებით დიდია უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის რისკი და, შესაბამისად, არსებობს დარღვეულ უფლებათა აღდგენის მექანიზმების გამოყენების საჭიროება. აღნიშნული პარადოქსული რეალობა მთელი მსოფლიოსთვის მთავარი გამოწვევაა 21-ე საუკუნეში[1].

[1]"Disabled Justice? Access to Justice and the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities", Foreword; EILIONOIR FLYNN, National University of Ireland, Galway; Published by Ashgate Publishing Limited, England.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენცია (UNCRPD) განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სწორედ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე (მუხლი 13):

1. *წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მართლმსაჯულების ეფექტურ ხელმისაწვდომობას სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, მათ შორის, პროცედურული და ასაკთან შესაბამისი პირობების შექმნით, ყველა სამართალწარმოებაში, გამოძიებისა და სხვა წინასწარი სტადიის ჩათვლით, მათი პირდაპირი და არაპირდაპირი, მათ შორის, მოწმის სტატუსით, ეფექტური მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.*
2. *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში მომუშავე პირების, მათ შორის, პოლიციისა და ციხეების თანამშრომლების შესაბამის მომზადებას.*

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე მრავალი გამოწვევაა, რაც განაპირობებს მათი უფლებების ინტენსიურ დარღვევას სხვადასხვა ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ ხშირად უფლებებსა და თავისუფლებებს საფრთხე ემუქრება დისკრიმინაციული მოტივებით. როდესაც საუბარია შშმ პირთა მდგომარეობაზე, განსაკუთრებული ყურადღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს უნდა მიექცეს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლებად გვევლინებიან თითქმის ყველა ქვეყანაში (მსგავსად სხვა ქალებისა). ამიტომაც გაეროს კონვენცია ცალკე მუხლში არეგულირებს გენდერულად მგრძნობიარე და ქალთა საკითხებს.

მუხლი 6:

1. *წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები მრავალგვარი დისკრიმინაციის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან და მათ მიერ ადამიანის უფლებებით და ყველა ფუნდამენტური თავისუფლებით თანასწორუფლებიანი სარგებლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება.*

2. *წევრმა სახელმწიფოებმა ყველა შესაბამის ზომას უნდა მიმართონ ქალების სრულყოფილი განვითარების, წინსვლის, დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და მათთვის ამ კონვენციით გამყარებული ადამიანის უფლებებითა და ყველა ფუნდამენტური თავისუფლებით თანასწორად სარგებლობის გარანტირებისათვის.*

ამიტომაც წინამდებარე ნაშრომი დაეთმობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების მიმოხილვას და იმ უნიკალურ მახასიათებლებს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს განსაკუთრებით მოწყვლადს ხდის.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა წინაშე, სულ მცირე, ორმაგად მაინც იზრდება რისკი იმისა, რომ ისინი დაექვემდებარებიან ძალადობას; პირველ რიგში, იმიტომ, რომ ისინი არიან ქალები და, შესაბამისად, მიეკუთვნებიან გენდერული ნიშნით ძალადობის რისკ-ჯგუფს; მეორე მხრივ, შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნის გამო იზრდება მათი მოწყვლადობა.[2] ამავე დროს, ეს ქალები არიან როგორც, ზოგადად, ქალების შესახებ სტერეოტიპული შეხედულებების, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულების მსხვერპლნი. [3] აღნიშნული ფაქტორების კომბინაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს ძალადობის განსაკუთრებით მაღალი რისკის წინაშე აყენებს.

1. სტატისტიკა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, რომლებიც არიან ოჯახში მრავალი სახის ძალადობის (მათ შორის, სექსუალური ძალადობის, დევნის) მსხვერპლნი, სხვა ქალების მსგავსად, აწყდებიან მრავალ წინააღმდეგობას, როცა გამიზნული აქვთ, თავი დააღწიონ მოძალადეს ან/და ძალადობრივ გარემოს. მათ წინაშეა დამატებითი სირთულეები იმ დაწესებულებების, ორგანოების მხრიდან,

---

[2]Women with disabilities. Victoria. Empowering women. Fact Sheet 3
http://www.wdv.org.au/documents/Fact%20Sheet%203%20Violence.pdf

[3]United Nations General Assembly, Report of the Special Rapporteur on Violence against Women, its causes and consequences,
Rashida Manjoo* 2013, pg. 3
http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session23/A_HRC_23_49_English.pdf

რომელთა მთავარი ვალდებულებაც არის მსხვერპლთა დაცვა, მხარდაჭერა, დანაშაულთა იდენტიფიცირება, სწორი რეფერირება თუ გამოძიება.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები გაცილებით ხშირად განიცდიან ინტენსიურ ემოციურ, ფიზიკურ და სექსუალურ შევიწროებას, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ქალები. ამას ადასტურებს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ბავშვთა წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის თემაზე ჩატარებული კვლევები,[4] რომელთა მიხედვითაც:

- მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 15%-ს აქვს შეზღუდული შესაძლებლობა და აღნიშნული პირები ძალადობის ბევრად უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან, ვიდრე შეზღუდვის არმქონე პირები. კვლევაში გამოყენებული მონაცემების ანალიზის შედეგად, დასტურდება შეზღუდულ შესაძლებლობასა და ძალადობის დონეს შორის არსებული მაღალი კორელაცია. ნაშრომში გამახვილებულია ყურადღება იმ ფაქტზეც, რომ მცირე და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში შეინიშნება არასრული მონაცემთა ბაზები [5] აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.
- მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ქალები, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონეები, უფრო მოწყვლადნი არიან ძალადობის მიმართ და, სტატისტიკური მონაცემებით, მაღალია პროცენტული მაჩვენებელი იმ დანაშაულებრივი ქმედებებისა, რომლებშიც მსხვერპლნი სწორედ ისინი არიან. მაგალითისთვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა ეროვნულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ ქალთა (860 ადამიანი), მათ შორის, შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ქალთა, 62%-ს გამოუცდია ფიზიკური და ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობა ქმრის, პარტნიორის ან ოჯახის წევრების მხრიდან. აქვე უნდა

[4] "Prevalence and risk of violence against adults with disabilities: a systematic review and meta-analysis of observational studies." 2012, pg. 3.
http://www.who.int/disabilities/publications/violence_children_lancet.pdf

[5] WHO "Disabilities and Rehabilitation", "Violence against adults and children with disabilities". http://www.who.int/disabilities/violence/en/

აღინიშნოს, რომ ქალები შეზღუდული შესაძლებლობით გაცილებით ხანგრძლივად განიცდიან ძალადობას, ვიდრე სხვა ქალები.[6]

- განვითარების შეფერხების მქონე ქალების 83%-ს და მამაკაცების 32%-ს აქვს სექსუალური ძალადობის გამოცდილება.[7]
- უმეტეს შემთხვევაში, ქალთა (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა) მიმართ ძალადობა მომდინარეობს ქმრის/პარტნიორის მხრიდან. აღნიშნული სოციალური ჯგუფის წარმომადგენელ ქალებზე ასევე ძალადობენ მომვლელები ან სერვისის მიმწოდებლები. [8]
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები მოძალადეების მხრიდან არიან დაშინებულნი, რაც გულისხმობს ინსტიტუციებში მოთავსებისა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გამომწყვდევის მუქარას. [9]
- 79% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა იღებს არაადეკვატურ სერვისს, ან მათთვის საერთოდ შეუძლებელია რაიმე ტიპის სერვისით სარგებლობა. [10]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ძალადობა, როგორც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, საქართველოშიც საკმაოდ ფართომასშტაბიან პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, ქვეყანაში პოლიტიკის შემქმნელთა და სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან საჭიროა დიდი ძალისხმევა, რაც მოიაზრებს როგორც საკანონმდებლო რეგულირების გადახედვას, ისე კანონის აღსრულების დროს რეაგირების მინიმალური სტანდარტების სენსიტიზაციას.

2. მეთოდოლოგია

დოკუმენტი შედგენილია ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) გამოცდილებასა და ხედვაზე დაყრდნობთ, რაც, თავის მხრივ, ეფუძნება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ კვლევებს

[6]Young M.E., Nosek M.A., Howland C.A., Chanpong G., and Rintala D.H., Prevalence of Abuse of Women with Physical Disabilities. Archives of Physical Medicine and Rehabilitation, 78, December (1997).

[7]Johnson, I.M., Sigler, R.T., “Forced Sexual Intercourse among Intimates”, Journal of Interpersonal Violence. 15(1) (2000).

[8]Sobsey, D., “Sexual Offences and Disabled Victims: Research and Practical Implications.” Vis-a-vis, Vol. 6, No. 4 (1988).

[9]Young M.E., Nosek M.A., Howland C.A., Chanpong G., and Rintala D.H., Prevalence of Abuse of Women with Physical Disabilities. Archives of Physical Medicine and Rehabilitation, 78 (12, Suppl. 5) S34-S38.

[10]Sobsey, D., Wells, D., Lucardie, R., & Mansell, S. (Eds), Violence and Disability: An annotated bibliography. Baltimore, MD: Paul H. Brookes, 1995).

აღნიშნულ თემაზე. სახელმძღვანელო პრინციპების შედგენის დროს დამუშავდა საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურიდან გამოთხოვნილი ოფიციალური ინფორმაცია და ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ცნობები. სახელმძღვანელოს ავტორები ასევე იყენებენ სხვადასხვა გამოცდილი და კვალიფიციური ორგანიზაციის ანგარიშებს აღნიშნულ თემაზე. სახელმძღვანელო არ წარმოადგენს საქართველოში პრაქტიკისა და სამართლის სიღრმისეულ კვლევას და, შესაბამისად, შესაძლებელია მისი განზოგადება.

I. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ძალადობა

საქართველოში ქალთა მიმართ დისკრიმინაცია და ძალადობრივი ხასიათის დანაშაულები ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, სსიპ „112"-ის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში 2013 წლის პირველი იანვრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით ოჯახურ კონფლიქტთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების რაოდენობა შეადგენდა 5447-ს, რომელთაგან მხოლოდ 358 შემთხვევა იყო იდენტიფიცირებული, როგორც ოჯახში ძალადობა, ხოლო 212-ის შემთხვევაში გამოიცა შემაკავებელი ორდერი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ძალადობის ისეთი სასტიკი ფორმა, როგორიცაა მკვლელობა. შსს-ს ოფიციალური მონაცემების თანახმად, 2013 წელს საქართველოში იდენტიფიცირებული იყო ქალთა მკვლელობის 21 შემთხვევა, მათ შორის - ოჯახის წევრის მიერ ქალის სიცოცხლის მოსპობის 9 შემთხვევა.[11]

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2014 წლის განმავლობაში ოჯახში ძალადობის შესახებ „112"-ის ცხელ ხაზზე შევიდა 10000-ზე მეტი შეტყობინება, რომელთაგან ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე გამოცემულია 817 შემაკავებელი ორდერი.

იმავე სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2014 წელს მოხდა ქალთა მკვლელობის 19 შემთხვევა.[12]აღსანიშნავია, რომ ოფიციალური სტატისტიკისგან განსხვავდება მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული სტატისტიკური ინფორმაცია ქალთა მკვლელობების შესახებ, რომელიც, სულ მცირე, 26 მკვლელობას მოიცავს. მათ შორისაა თვითმკვლელობამდე მიყვანის რამდენიმე

[11]http://ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf გვ. 500

[12]http://police.ge/ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 2014 წლის სტატისტიკური მონაცემები

შემთხვევა და ტრანსგენდერი ქალის მკვლელობის საქმე, რომლებიც სახელმწიფოს ოფიციალურ სტატისტიკაში, სავარაუდოდ, არ გვხვდება, როგორც ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის და სიცოცხლის მოსპობის დანაშაული. აღნიშნული, თავისთავად, კითხვებს ბადებს სახელმწიფოს მიერ დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის სანდოობასთან დაკავშირებით.

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა არაერთი სამართლებრივი დოკუმენტით არის აკრძალული, თუმცა, მიუხედავად ამისა, ფიქსირდება ძალადობისა და დისკრიმინაციული მოპყრობის მრავალი ფაქტი მსხვერპლის შეზღუდული შესაძლებლობის ბოროტად სარგებლობის ნიადაგზე. აღნიშნული პრობლემის ძირითადი მიზეზია ის, რომ სახელმწიფო შესაბამის კანონმდებლობას არაეფექტურად იყენებს და სათანადოდ ვერ აფასებს საკითხის მნიშვნელობას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო, როგორც შშმ პირთა უფლებების გაეროს კონვენციის (UNCRPD) ხელმომწერი მხარე, ვალდებულია, შექმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკური და კვლევით მონაცემთა ბაზა. ქვეყანაში არ არსებობს ასეთი მონაცემების სრულყოფილი აღრიცხვის სისტემა, რაც კიდევ ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა საჭიროებებისა და პრობლემების განხილვის კუთხით, განსაკუთრებით - ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საქმეში.

2013-2014 წლების ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში არ მოიძებნება ინფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, როგორც ძალადობის მსხვერპლის, შესახებ.

2014 წლის 27 ივნისს და 30 ივლისს ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წერილობით [13] მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია იმის შესახებ, უმჯობესდება თუ არა სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მექანიზმი ამ თვალსაზრისით. ორგანიზაციას წერილით [14] აცნობეს, რომ შსს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალთა შესახებ სტატისტიკას არ აწარმოებს და ამ მიმართულებით არც არაფერს გეგმავს.

ამგვარად, ამ საკითხზე საქართველოში არ არსებობს სრულყოფილი ოფიციალური სტატისტიკა, რაც კიდევ უფრო ართულებს საკითხის

[13]წერილი #05/80-14; #05/105-14
[14]წერილი#1395076; #1583271

მნიშვნელობის აღქმას და ცხადი ხდება, თუ რაოდენ აუცილებელია თემის სიღრმისეული შესწავლა.

აღნიშნულ პრობლემას წარმოშობს როგორც სახელმწიფოს მიერ არაეფექტური საკანონმდებლო პოლიტიკის გატარება, ისე საზოგადოების სტერეოტიპული შეხედულებები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, მამაკაცის დომინანტურ მდგომარეობას აღიარებს, ქალის მნიშვნელობას აკნინებს და საფრთხეს უქმნის ადამიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ უფლებას თანასწორობაზე. ასეთ მიდგომას მივყავართ იქამდე, რომ ოჯახური და სხვა სახის გენდერული ძალადობის ფაქტები ხშირდება და ქალები ჩადენილი დანაშაულის შესახებ შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინებისგან თავს იკავებენ.

დისკრიმინაციის ნიშნით ქალებზე ძალადობის პროცენტული მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია მარტოხელა დედების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ხანდაზმული და უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მიმართ. ამის ძირითადი მიზეზი, ერთი მხრივ, არის ისევ და ისევ წინასწარ ჩამოყალიბებული არასწორი შეხედულებები ქალისა და მამაკაცის სოციალური როლების შესახებ და ნაკლებად შემწყნარებლური განწყობა, ზოგადად, მრავალფეროვნებისადმი; მეორე მხრივ კი - ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანების დაუცველობის მაღალი ხარისხი, რაც მათ დროსა და სივრცეში მოწყვლად ჯგუფებად აქცევს. ამ რეალობაში განსაკუთრებით პრობლემატურია ძალადობის შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინების ან/და უფლების დასაცავად სასამართლო ხელისუფლებისათვის მიმართვის საკითხები. შეიძლება ითქვას, ზემოაღნიშნული სირთულეები ერთმანეთსაც განაპირობებს.

საკმაოდ რთული ვითარებაა სოფლად მცხოვრები ქალების შემთხვევაში. მიზეზი შეიძლება იყოს მათი ნაკლები შემოსავალი, შეზღუდული წვდომა ინფორმაციაზე, ინფრასტრუქტურაზე, ტრანსპორტზე, სახელმწიფო თუ კერძო სერვისსა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, რაც აფერხებს სოფელში მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების, მხრიდან დანაშაულის შესახებ შეტყობინებას.

II. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა წინაშე არსებული ძირითადი ბარიერები

1. სისტემური ბარიერი

ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა დაცვას და მათთან ეფექტურ კომუნიკაციას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს; ამათგან განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სისტემური ბარიერები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვაგვარად იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, ქვეყანაში, როგორც წესი, არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, პროგრამები, პროცედურები, ზოგადად, ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია ძალადობის მსხვერპლთა დაცვისკენ, თუმცა ხშირად აღნიშნული დოკუმენტები და წესები არ ითვალისწინებს იმ მსხვერპლთა საჭიროებებს, რომლებიც განეკუთვნებიან სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს (მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება გარკვეული შეზღუდვის მქონე ქალები).

სისტემური ბარიერები მნიშვნელოვნად აფერხებს მსხვერპლთა ეფექტური დაცვის შესაძლებლობას. მათი არსებობის პირობებში, შშმ ქალები ვერ სარგებლობენ რელევანტური, მათ საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის დოკუმენტებით (მათ შორის, საკანონმდებლო ჩარჩოთი), სერვისებით, პროცედურებით (მათ შორის, სპეციალური საგამოძიებო წესებით); ან ზემოაღნიშნული მათთან დაკავშირებით, უბრალოდ, არ არსებობს. ამის გამო მათზე ძალადობა გრძელდება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში ვითარდება ძალადობასთან ბრძოლის სხვადასხვა სისტემა, იხვეწება სამართლებრივი მექანიზმები, მაგრამ ამ პროცესის დროს არ ითვალიწინებენ სპეციალური საჭიროებების მქონე ქალთა ინტერესებს.

ხშირად ქვეყანაში არის მიდგომა, რომელიც გულისხმობს ისეთი მოქნილი პოლიტიკის შექმნას, რომელიც უპასუხებს ქალთა წინაშე არსებულ ყველა გამოწვევას, თუმცა ამ დროს არ ითვალისწინებენ იმას, რომ ზოგადი, თუნდაც მოქნილი რეგულაციები გამოუსადეგარია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთათვის. აუცილებელია, დაინერგოს მიდგომები, რომლებიც სპეციალური ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, რათა თითოეულ პრობლემას დეტალურად გაეცეს პასუხი, რადგან, ზოგადად, ქალები და მათ

წინაშე არსებული ბარიერები განსხვავდება სპეციალური საჭიროებების მქონე ქალთა ცხოვრების წესისგან და მათი საჭიროებებისგან. თვალსაჩინო მაგალითია ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრები, რომლებიც ხშირად რაოდენობრივად სრულიად საკმარისია ქვეყნისთვის, რაც, ერთი შეხედვით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ მიმართული სერვისი არსებობს; თუმცა, თუ აღნიშნული სერვისი შეფასდება, სულ მცირე, ფიზიკური ხელმისაწვდომობის სტანდარტების ინდიკატორის გამოყენებით, აღმოჩნდება, რომ ის, ფაქტობრივად, აბსოლუტურად არ არის ხელმისაწვდომი გადაადგილების შეზღუდვის მქონე მსხვერპლი ქალებისთვის.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ სისტემური მიდგომა უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის შეზღუდვის მქონე ქალთა ინტერესებსა და საჭიროებას. მაგალითად, ქვეყნების უმეტესობა ითვალისწინებს თავშესაფრების ფიზიკური ხელმისაწვდომობის აუცილებლობას (ისინი აღჭურვილია ნულოვანი შესასვლელით ან პანდუსით, არსებობს ლიფტი, შიდა დიზაინი ბარიერებს არ მოიცავს და ა.შ.), თუმცა იგნორირებულია ის გარემოება, რომ შეზღუდული შესაძლებლობა მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ ან სენსორულ შეზღუდვას, არამედ ინტელექტუალურ, მენტალურ პრობლემებს. არსებული ინფრასტრუქტურა და სერვისები კი ასეთ ადამიანებს მნიშვნელოვან დახმარებას არ სთავაზობს. უნდა შეფასდეს, აღნიშნული თვალსაზრისით რამდენად ხელმისაწვდომია თავშესაფრები მენტალური და კოგნიტური შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირებისთვის; კერძოდ, ფუნქციონირებს თუ არა იქ სპეციალური მხარდამჭერთა ჯგუფი, დაკომპლექტებული მულტიდისციპლინური მიდგომით მომუშავე სპეციალისტებით; არსებობს თუ არა ამ კატეგორიის მსხვერპლთათვის გასაგები ენით შედგენილი წესები აუდიო, ვიდეო თუ წერილობითი ფორმით; არის თუ არა თავშესაფრის პერსონალი გადამზადებული კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებისა და ამა თუ იმ სახის სპეციფიკური უნარ-ჩვევების გამოყენების კუთხით.

2. რეფერირების სისტემის ბარიერი

რეფერირების სისტემაც მნიშვნელოვან ბარიერებს წარმოშობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა წინაშე. გარკვეული შეზღუდვის მქონე ქალებისთვის უნდა შემუშავდეს რეფერირების განსხვავებული წესები, რომლებიც მათი სპეციალური საჭიროებებიდან გამომდინარეობს. როგორც წესი, არ არსებობს ადეკვატური, კონფიდენციალური რეფერირების სისტემა. ასე

მაგალითად, მენტალური ან/და ინტელექტუალური/კოგნიტური შეზღუდვის მქონე ქალთა უფლება კონფიდენციალობაზე ირღვევა თავად იმ პირების მხრიდან, რომელთა ვალდებულებასაც ასეთი ქალების დაცვა წარმოადგენს. რეფერირების პროცესში აუცილებელია, რომ თითოეულმა ერთეულმა (რეფერირების სისტემის რგოლმა) უპასუხოს კითხვებს: *არის თუ არა რეფერირების ესა თუ ის პროცედურა აუცილებელი და საჭირო? რატომ ხდება შშმ ქალის რეფერირება ერთი დაწესებულებიდან მეორეში? ხდება თუ არა რეფერირება თავად შშმ ქალის ნებართვით (მისი თანხმობით) და თვლის თუ არა თავად მსხვერპლი, რომ მისთვის აუცილებელი და საჭიროა აღნიშნული პროცედურა* [15] *?* ხშირად შშმ ქალები საერთოდ არ იღებენ რეფერირებით გათვალისწინებულ სერვისებს, ან ამ პროცესში ამოვარდნილია რომელიმე რგოლი.

პროცედურებში აპრიორი გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს ისევე ესაჭიროებათ პირველადი აუცილებელი დახმარება (მაგალითად, თავშესაფარი, მხარდაჭერა, დაცვა და სხვ.), როგორც ძალადობის მსხვერპლ სხვა ქალებს კრიზისულ სიტუაციაში. რეფერირების პროცედურა უნდა იყოს შესაფერისი, საჭიროებებზე მორგებული და ადეკვატური ყველა მსხვერპლისთვის.

აუცილებელია რეფერირების თუ პოლიტიკის სისტემის მარეგულირებელი მექანიზმების კრიტიკული ანალიზი და რეგულაციების გადახედვა, რაც, ერთი მხრივ, სისტემის განახლებას, მეორე მხრივ, საჭიროებების დეტალურ და სწორ განმარტებას განაპირობებს. მაგალითისთვის მოვიყვანთ „ფიზიკური საფრთხის“ დეფინიციას. როცა საუბარია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, „ფიზიკური საფრთხის“ განმარტება უნდა გაფართოვდეს და მან მოიცვას ისეთი შემთხვევები, როცა, მაგალითად, გარკვეული შეზღუდვის მქონე პირს ჩამოართვეს ეტლი ან დაბრკოლება შეუქმნეს გადაადგილების ამ საშუალებით სარგებლობისას; მისთვის ხელმისაწვდომი არაა მედიკამენტები ან მკურნალობის სხვა ფორმები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალზე მზრუნველობის ვალდებულების მქონე პირმა შეწყვიტა ან შეასუსტა მზრუნველობა და სხვ. ყოველივე ეს შშმ ქალს უქმნის ფიზიკურ საფრთხეს, რაც სამართალდამცავებმა ადეკვატურად უნდა შეაფასონ.

---

[15] Double Oppression: Violence against Disabled Women, A resource pack for practitioners, pg. 16 http://www.niaendingviolence.org.uk/perch/resources/double-oppression-violence-against-disabled-women.pdf

3. კომუნიკაციის ბარიერი

ძალადობის მსხვერპლ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ადეკვატური სამართლებრივი დაცვისთვის მნიშვნელოვანია მსხვერპლთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება. კომუნიკაციის დეფიციტმა ან არაეფექტურმა კომუნიკაციამ შეიძლება შეუქმნას დაუძლეველი ბარიერები ამ ჯგუფის წარმომადგენელ ქალებს.

ყველა ტიპის შეზღუდვის მქონე ქალებისთვის, განსაკუთრებით ინტელექტუალური, მენტალური დ სენსორული შეზღუდვის მქონეთათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საჭიროების დროს მთავარი პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც შეუძლებელია კომუნიკაციის დამყარება. თუ ქალს არ შეუძლია, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს მოუთხროს ძალადობის ისტორია, აღწეროს ფაქტები, დასვას და უპასუხოს შეკითხვებს, გაიგოს, რა ტიპის სერვისებია ხელმისაწვდომი მისთვის და რა დახმარების მიღება შეუძლია სახელმწიფოსგან, მაშინ სრულიად წარმოუდგენელია, მან ისარგებლოს მართლმსაჯულების უფლებით და ძალადობრივ გარემოს თავი დააღწიოს. ამავე დროს, კომუნიკაციის აღნიშნული ბარიერი ხელს უშლის თავად პროფესიონალებს (პოლიციელი, პროკურორი, მოსამართლე), კანონი ყველასთვის თანასწორად აღასრულონ.

პირველ რიგში, პოლიტიკის შემქმნელებმა უნდა განახორციელონ პროცედურების თუ პოლიტიკის დოკუმენტების რევიზია, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება ყველა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებები და მოხდება არსებული სერვისების მოდიფიცირება. აღნიშნულის აუცილებლობა თვალსაჩინოა ყრუ და სმენადაქვეითებულ ქალთა შემთხვევაში. ეს ადამიანები ეფექტური კომუნიკაციის დამყარების მიზნით საჭიროებენ ჟესტური ენის მცოდნე პროფესიონალებს ან თარჯიმანს, რომლებიც დაეხმარებიან მათ, სრულყოფილად ითანამშრომლონ გამოძიებასთან (მიიღონ და მიაწოდონ ინფორმაცია ოფიციალური ორგანოების წარმომადგენლებს). ამავე დროს, როცა თარჯიმნის მომსახურების მიღება აუცილებელია, გარანტირებული უნდა იყოს მბოჭავი ეთიკის ნორმები. თარჯიმანს გააზრებული უნდა ჰქონდეს თავისი როლი კომუნიკაციის დროს და გაითვალისწინოს შემდეგი:

- ყველა გადათარგმნილი და მიღებული ინფორმაცია უნდა იყოს კონფიდენციალური;

- თარჯიმანი უნდა იყოს ნეიტრალური. მას ეკრძალება ჩარევა, რჩევის მიცემა ან პერსონალური აზრის გამოთქმა თარგმნის დროს;
- თარჯიმანი უნდა იყოს პროფესიონალი;
- თარჯიმანი უნდა იყოს სპეციალიზებული, გადამზადებული სპეციფიკურ გარემოში თარგმნის კუთხით. მაგალითად, ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება სამედიცინო დაწესებულებისა და სასამართლოს თარჯიმნების მომსახურების უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია.

როცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალს არ სურს თარჯიმნის საშუალებით კომუნიკაციის დამყარება, ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს არჩევნის შესაძლებლობა და ქალის უფლება, წერილობით იკონტაქტოს გამოძიებასთან. ეს პროცედურები უზრუნველყოფს პროცესის ყველა მონაწილის ფუნდამენტურ უფლებებს თავისუფალ/ეფექტურ კომუნიკაციაზე.

4. ვერბალური კომუნიკაციის ბარიერი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ვერბალური კომუნიკაციის დროს მთავარ სირთულეს წარმოადგენს მიწოდებული ინფორმაციის სწორად გაგება და აღქმა, გააზრებული დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა, ინფორმაციის რელევანტური დეტალების დამახსოვრება და უცხო პირებთან ურთიერთობა.

კომუნიკაცია რომ ეფექტური იყოს და შესაძლებელი გახდეს ყველა საჭირო დამხმარე საშუალების გამოყენება თუ პროფესიონალების ჩართვა, აუცილებელია აღნიშნული საკითხების შეთანხმება თავად მსხვერპლ ქალთან. ხშირად საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები შეზღუდული შესაძლებლობის მქონეთა შესახებ იწვევს მათ სრულ განცალკევებას იმ პროცესებისგან, რომლებიც მათ ეხებათ და კონკრეტულ სიტუაციაში ამ ადამიანების საჭიროებებს სხვები განსაზღვრავენ. მათ კი შეიძლება კომუნიკაციის არასწორ გზებს მიმართონ.

როცა ეფექტური ვერბალური კომუნიკაციის დამყარება შეუძლებელია, ეს ხელს უშლის თავად ძალადობის იდენტიფიცირებაზე და პროცესის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს პროფესიული საქმიანობის მაღალი ხარისხით წარმართვაში. აქედან გამომდინარე, მსხვერპლისგან ინფორმაციის დროულად და სრულად მიღება თავად სახელმწიფოს ინტერესს წარმოადგენს.

ხშირია შემთხვევა, როცა პროფესიონალის მხრიდან ვერბალური კომუნიკაცია აბსოლუტურად დამაკმაყოფილებლად წარიმართება, მაგრამ განვითარების შეფერხების გამო ქალმა შესაძლოა, ვერ გაიაზროს მიწოდებული ინფორმაციის შინაარსი ან არასწორად აღიქვას მნიშვნელოვანი დეტალები. შესაბამისად, აუცილებელია, შშმ პირთან კომუნიკაცია სათანადო სიფრთხილით ხორციელდებოდეს და ამ პროცესს საკმარისი დრო დაეთმოს; სირთულეების წარმოქმნის შემთხვევაში აუცილებელია სხვა დარგის სპეციალისტთა პროფესიონალური დახმარება.

III. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ ძალადობის გავრცელებული ფორმები

თანამედროვე ეპოქაში სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობის არაეფექტიანობას განაპირობებს როგორც სათანადო ინფორმაციის უქონლობა, ისე საკანონმდებლო ნორმათა არასწორი ინტერპრეტაცია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ძალადობის ტრადიციული განმარტებები არ შეესაბამება პრაქტიკაში არსებულ სიძნელეებს. ხშირ შემთხვევაში, ძალადობის ესა თუ ის ფორმა შესაძლოა, გამოიხატოს ისეთ მოქმედებებში, რომლებშიც, ერთი შეხედვით, შეუძლებელია ძალადობის რაიმე ნიშნის დანახვა. სინამდვილეში ამ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს სავალალო და დამაზიანებელი შედეგი. ამიტომ აუცილებელია, თანამედროვე პოლიციელი თუ სხვა ოფიციალური პირი ფლობდეს საბაზისო ინფორმაციას შეზღუდულ შესაძლებლობებზე და ძალადობის იმ გავრცელებულ, სპეციფიკურ ფორმებზე, რომლებსაც პრაქტიკაში მსხვერპლთა წინააღმდეგ იყენებენ. განმარტებები უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე ხედვის შესაბამისად; გარდა ამისა, აუცილებელია, მაქსიმალურად დაკონკრეტდეს მოქმედებები, რომლებიც, შშმ პირის მიმართ განხორციელების შემთხვევაში, შეიძლება განიმარტოს, როგორც ძალადობის ფორმები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდვის არმქონე ქალთა მიმართ გამოყენებული ძალადობის ფორმები, ძირითადად, ერთმანეთის მსგავსია; თუმცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, ხშირ შემთხვევაში,

ძალადობის განსხვავებული გამოვლინებების მსხვერპლნი ხდებიან. ზოგიერთი მათგანის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ[16]:

ფიზიკური ძალადობის სახეები

1. დარტყმა, წამორტყმა, ჩქმეტა, დახრჩობის მცდელობა, ანთებული სიგარეტის მიდება სხეულზე და სხვ. - განსაკუთრებით ფიზიკური შეზღუდვის დროს, როდესაც ქალს ნაკლებად აქვს რეაგირების, თავდაცვის და საფრთხისგან გაქცევის შესაძლებლობა;
2. დამხმარე და ადაპტაციის საშუალებების (ყავარჯენი, ეტლი, სმენის აპარატი) ჩამორთმევა ან ამ საშუალებებით სარგებლობის შეზღუდვა, ქალის ნების წინააღმდეგ მისი გადაადგილება;
3. დამხმარე საშუალებების გამოყენებით ტკივილის მიყენება (უხეშად მორგება, არასწორი ზომის შერჩევა, რაც, შესაძლოა, ტკივილს და დისკომფორტს იწვევდეს);
4. მედიკამენტოზური მკურნალობის არასწორი ადმინისტრირება/მკურნალობის რეჟიმის დარღვევა;
5. დახმარებასა და მხარდაჭერაზე უარის თქმა, რაც, შესაძლოა, ტკივილს და დისკომფორტს იწვევდეს;
6. მოვლის უხეში და სასტიკი ფორმების გამოყენება (მაგალითად, საწოლში მყოფი ან სხვა სახით მოძრაობის შეზღუდვის მქონე პირის ცივი წყლით დაბანა);
7. იძულებით კვება ან საკვების მიწოდებაზე უარის თქმა;
8. ფიზიკური ან ქიმიური შეზღუდვის უკანონო გამოყენება;
9. არაჰიგიენური პირობების შექმნა; არაჰიგიენური სამოსის, თეთრეულის მიწოდება;
10. გახანგრძლივებული ან არასაკმარისი დროით საპირფარეშოში, აბაზანაში დატოვება;
11. დახმარებაზე უარის თქმა საპირფარეშოს ან აბაზანის გამოყენებისას.

---

[16] Double Oppression: Violence against Disabled Women, A resource pack for practitioners, pg. 10-11 http://www.niaendingviolence.org.uk/perch/resources/double-oppression-violence-against-disabled-women.pdf

სექსუალური ძალადობა

1. გადაადგილების ან სხვა სახის ფიზიკური დახმარების დროს სექსუალური შინაარსის შეხება;
2. არასასურველი ფორმით ჩახუტება ან ფიზიკური დისტანციის დარღვევა სექსუალური შინაარსის ქცევით;
3. დახმარებაზე უარის თქმის მუქარით სექსუალურ აქტზე ან ქმედებაზე შშმ ქალის დათანხმება;
4. დამხმარე საშუალებების გამოყენება სექსუალური შევიწროების მიზნით;
5. სამოსის გამოცვლის, აბაზანის მიღების, საპირფარეშოს გამოყენების დროს პირად სივრცეში შეჭრა და კონფიდენციალობის დარღვევა;
6. შეზღუდვასთან დაკავშირებით სექსუალური შინაარსის მეტაფორების გამოყენება მეტყველებისას;
7. შეზღუდვიდან გამომდინარე, პირის სექსუალობის უარყოფა;
8. კონტრაცეფციის გამოყენების აკრძალვა;
9. იძულებითი სტერილიზაცია;
10. იძულებითი აბორტი და კონტრაცეფცია.

ემოციური და ფსიქოლოგიური ძალადობა

1. ინფორმაციის დამალვა;
2. გადაწყვეტილების მიღება შშმ ქალის ცხოვრების შესახებ მის მაგივრად;
3. ინსტიტუციაში განთავსების, მიტოვების, გამოკეტვის და, ზოგადად, იზოლირების მუქარა;
4. მუქარა შვილის, შინაური ცხოველის ან შშმ ქალისთვის მნიშვნელოვანი სხვა ობიექტის მიმართ;
5. არახელმისაწვდომ პირობებში/გარემოში ყოფნის იძულება;
6. ყველგან თანხლება, მარტო დარჩენის შეზღუდვა;
7. შეზღუდვიდან გამომდინარე, მეტსახელების დარქმევა;
8. დახმარების, საკვების ან ფულის თხოვნის იძულება შშმ ქალის დამამცირებელი ხერხებით;
9. შშმ ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის გამართლება, მისი შეზღუდვიდან გამომდინარე;

10. შთაგონება იმ აზრისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გამო შშმ ქალი არასასურველი პიროვნებაა;
11. ფულსა და ბენეფიტებზე კონტროლის განხორციელება;
12. პატრონიზება - შშმ ქალის დამოუკიდებლობის შეზღუდვა სხვადასხვა ფორმით;
13. დეპრესიისა და ფობიების გაღვივება;
14. რთულ და დამაბნეველ ენაზე შეგნებულად საუბარი;
15. ზრუნვის შეზღუდვის მუქარა;
16. იზოლირება - კონტროლი იმაზე, თუ რას აკეთებს, ვის ხვდება ან ესაუბრება შშმ ქალი;
17. უარის თქმა იმ დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფაზე, რომლებიც ხელს შეუწყობდა მის დამოუკიდებლობას.

IV. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია, განხილულ იქნეს კონკრეტული ძალადობის შემთხვევები. როგორც უკვე მრავალგზის აღინიშნა, საქართველოში არსებული პრაქტიკა, განსაკუთრებით - ოფიციალური მონაცემები მსხვერპლთა შესახებ, არ მოიცავს ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა, როგორც მსხვერპლთა, რაოდენობის და მათი დაცვის მიზნით განხორციელებული მოქმედებების თაობაზე.

წინამდებარე სახელმძღვანელოში მოვიყვანთ რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს ძალადობის შესახებ[17], რომლებიც არ ემყარება რეალურ ფაქტებს, მაგრამ კარგად აღწერს შშმ ქალთა მიმართ პრაქტიკულად განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების დეტალებს, ასევე განსაკუთრებულ ბარიერებს, რომლებიც მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა წინაშე წარმოიშობა და სწორედ ამის გამო ინფორმაცია დანაშაულის შესახებ სასამართლომდე ვერ აღწევს.

[17]See, e.g., Kimberly Black Wisseman, "You're My Pretty Bird in a Cage": Disability, Domestic Violence, and Survival, http://ici.umn.edu/products/impact/133/over1.html (last visited May 26, 2007). This account is not the factual basis for the above case examples, rather, it is cited to show that the above, fictional cases examples are based in reality.

თითოეული საქმე ეხება სხვადასხვა სახის შეზღუდვის მქონე (ფიზიკური განვითარების შეფერხება, ფსიქოსოციალური საჭიროებები) ქალთა მიმართ ძალადობას. ამ საქმეებში წამოჭრილ პრობლემებზე მსჯელობა აუცილებლად უნდა წარიმართოს.

საქმე № 1:

Edna K. ფიზიკური შეზღუდვის მქონეა. ის გადაადგილების მიზნით მოიხმარს ელექტროეტლს. Edna მუდმივად განიცდიდა ძალადობას პარტნიორი ბიჭის მხრიდან, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა ქმედებაში. ეს იყო ცემა, სხვა სახის ფიზიკური შეურაცხყოფა, აგრეთვე ისეთი მოქმედებები, რომლებიც უკავშირდება ქალის შეზღუდულ შესაძლებლობას, კერძოდ: ცემის შემდეგ მეგობარი ბიჭი ქალს არ აძლევდა საშუალებას, ელექტროეტლი დენის წყაროსთან შეეერთებინა, რის შედეგადაც ქალის ფიზიკურად გადაადგილება აბსოლუტურად შეუძლებელი ხდებოდა. აქედან გამომდინარე, ძალადობის მსხვერპლს არც დანაშაულის შესახებ შეტყობინების საშუალება ჰქონდა. ქალი ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა საათების განმავლობაში. რამდენიმე თვის შემდეგ მოძალადე დაიჭირეს და წაუყენეს ბრალი ძალადობის გამო. მოგვიანებით Edna-მ მიმართა პროკურატურას და მოითხოვა საქმის შეწყვეტა მოძალადე პარტნიორის მიმართ; ამის მიზეზი მან შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: მეგობარი ბიჭი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც ზრუნავდა გადაადგილების შეზღუდვის მქონე ქალზე და ეხმარებოდა მას სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილებაში. შესაბამისად, მისი პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში, ქალი მომვლელის გარეშე დარჩებოდა.

Edna-ს საქმე ხაზს უსვამს რამდენიმე საგულისხმო გარემოებას. პირველი: ცხადად მიუთითებს იმაზე, თუ როგორი დაუცველია ფიზიკური შეზღუდვის მქონე ქალი ძალადობის შემთხვევაში და ხაზს უსვამს შეზღუდვის არმქონე ქალთაგან სპეციფიკურ განსხვავებას (ეტლის გამოყენება), რის გამოც გაცილებით გაადვილებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის მიმართ ზემოაღნიშნულის მსგავსი ქმედებების განხორციელება. ვინაიდან ქალი გადაადგილდება ეტლის საშუალებით, ეს შესაძლებლობას უქმნის მოძალადეს, იოლად აკონტროლოს მსხვერპლი გადაადგილების შეზღუდვის საშუალებით. მეორე (და მთავარი): შეზღუდული შესაძლებლობის არსებობის დროს წარმოიშობა უნიკალური ფაქტორი, რის გამოც შშმ მსხვერპლი ქალები უარს

ამბობენ, ითანამშრომლონ საგამოძიებო ორგანოებთან. ხშირად ქალის მიმართ ძალადობრივ ქმედებას ახორციელებს ადამიანი, რომელიც მისი მომვლელია ან სხვა სახით მისი მხარდამჭერი. შესაბამისად, წარმოიშობა დილემა, რომელიც არჩევნის წინაშე აყენებს შშმ ქალს: უჩივლოს მოძალადეს, რაც ავტომატურად მზრუნველის გარეშე დატოვებს მას და სახელმწიფო თავშესაფარში გაატარებინებს მთელ ცხოვრებას; ან მოითმინოს ძალადობა, რის შედეგადაც ელემენტარულ დახმარებას მაინც მიიღებს მომვლელისგან, რომელიც, ამავე დროს, მოძალადეა.

საქმე № 2:

Marge S. არის ქალი, რომელსაც აღენიშნება მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენა. Marge-მა პარტნიორი, მეგობარი ბიჭი, 8 წლის წინ გაიცნო. ის მუშაობდა მძღოლად იმ ადაპტირებულ ავტომობილზე, რომლითაც გადაადგილდებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი. მთელი მათი ურთიერთობის განმავლობაში მეგობარი ბიჭი აიძულებდა ქალს, დაემყარებინა მასთან სექსუალური კავშირი (ქალის სურვილის საწინააღმდეგოდ). მნიშვნელოვანია, რომ მამაკაცს არასდროს გამოუყენებია ფიზიკური ძალა ქალის წინააღმდეგ; მიმართავდა სხვა მეთოდს სექსუალური კავშირის დამყარებისთვის - აშინებდა ქალს, რომ აუცილებლად მიატოვებდა, თუ ის ამ კაცის სურვილს არ შეასრულებდა. აღნიშნული ტაქტიკა არ არის გამოსადეგი, ზოგადად, ქალების მიმართ, თუმცა ეფექტური აღმოჩნდა იმ ქალის შემთხვევაში, რომელსაც გონებრივი შეფერხება აქვს. მოძალადე მამაკაცს არ დასჭირვებია ძალის გამოყენება მიზნის მისაღწევად, როგორც ეს ხდება გაუპატიურების დროს; მან ისარგებლა ქალის შეზღუდული შესაძლებლობით, რათა ეს უკანასკნელი მისი სურვილის საწინააღმდეგო ქმედებაზე[18] დაეყოლიებინა.

რამდენიმე შემთხვევის შემდეგ ქალმა უარი განაცხადა სექსუალურ ურთიერთობაზე, რაზედაც მიიღო პასუხი, რომ მას არავინ „აძალებდა“ ამის გაკეთებას. საბოლოოდ, ისინი ქალის ინიციატივით დაშორდნენ ერთმანეთს, რის შემდეგაც კაცმა ქალის შევიწროება დაიწყო ტელეფონის გამოყენებით. მოგვიანებით მოძალადე დააკავეს. ქალმა პროკურატურაში განაცხადა, რომ მათ

[18]თუმცა ფემინისტურ მოძღვრებათა თანახმად, ასეთი ქმედება კლასიფიცირებულია, როგორც გაუპატიურება. See Susan Estrich, Rape, 95 Yale L.J. 1087, 1161(1986). However, a discussion of whether this conduct is or should be considered rape is beyond the scope of this paper.

8-წლიანი ურთიერთობა ჰქონდათ; მსხვერპლი მოძალადეზე საუბრობდა შემდეგნაირად: მან იცის, რა სჭირდებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს; ამ კაცმა სქესობრივი კავშირი დაამყარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთან, რომელთანაც არავის მოუნდებოდა ურთიერთობა მისი მდგომარეობის გამო; ამიტომ, ქალის აზრით, ეს ქმედება დასაფასებელია.

Marge S.-ის საქმემ ხაზი გაუსვა გონებრივი შეფერხების მქონე ქალთა განსაკუთრებულ მოწყვლადობას ძალადობის მიმართ; ასევე მოახდინა საზოგადოებაში (თავად ქალებშიც) არსებული სტერეოტიპის ილუსტრირება, რომლის თანახმადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს არ შეიძლება ჰქონდეთ ღირსეული სექსუალური ურთიერთობები; ამის გამო კი ყველა ადამიანი დასაფასებელია, რომელიც ამ სახის, თუნდაც ძალადობრივი ხასიათის, კავშირს დაამყარებს მათთან.

საქმე № 3:

Selma B. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალია, მოსაზღვრე პიროვნული აშლილობის დიაგნოზით. ეს მდგომარეობა წარმოადგენს მენტალურ გამოწვევას, რომელიც ხასიათდება გუნება-განწყობის, ინტერპერსონალური ურთიერთობების, თვითშეფასებისა და ქცევის არასტაბილურობით. მითითებული მახასიათებლები ინდივიდს ხშირად უქმნის ბარიერებს ოჯახში, სამსახურში, გრძელვადიანი მიზნების დაგეგმვისას; ამ დროს სუსტდება საკუთარი თავის რწმენაც.

Selma B.-ზე ყოფილი მეუღლე ფიზიკურად ძალადობდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალს, რის გამოც მათ ხშირად უხდებოდათ ურთიერთობა სამართალდამცავებთან. ქალი საყვედურობდა სასამართლო სისტემას, რომელიც ვერ აგვარებდა მსხვერპლის წინაშე არსებულ პრობლემებს; თანაც, პროცესები არაგონივრულად ჭიანურდებოდა. მისი პრეტენზიები ეხებოდა ასევე არაეფექტურ კომუნიკაციას მოქალაქესა და სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებს შორის. ისინი თავს არიდებდნენ მსხვერპლთან ურთიერთობას, რადგან მიაჩნდათ, რომ ის ფსიქიკურად არასტაბილური იყო, რაც ართულებდა მასთან თანამშრომლობას; და ამ ყველაფრის მიზეზი მისი ფსიქოსოციალური საჭიროება იყო.

Selma-ს საქმე აჩვენებს, რომ სამართლებრივი ინფრასტრუქტურა არაეფექტურია და სრულებით არაა მორგებული სპეციალურ საჭიროებებზე, როცა საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (კერძოდ, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე) ქალის მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებს. ასევე ნაჩვენებია, თუ როგორ ზარალდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ინტერესები მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობისას მხოლოდ მათი მდგომარეობის გამო; ხოლო პროკურორები თუ სხვა სამართლებრივი უწყების წარმომადგენლები არ არიან მზად ეფექტური კომუნიკაციისთვის.

მოცემული სამი შემთხვევა მცირე ნაწილია მილიონობით ქალის საქმეებისა, რომლებიც განიცდიან სხვადასხვა სახის ძალადობას იმის გამო, რომ არიან ქალები და, ამავე დროს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონენი. საქმეთა უმეტესობას აქვს საერთო მახასიათებელი, რომელიც არაადეკვატური სამართლებრივი ინფრასტრუქტურის არსებობაზე მიუთითებს. ამ შემთხვევაში ინფრასტრუქტურა მოიცავს როგორც სამართალდამცავ ორგანოებს (პოლიცია, პროკურატურა) და სასამართლო სისტემას, ისე უფასო იურიდიული დახმარების სერვისს, თავშესაფრებს, კრიზისულ ცენტრებსა და სხვა რელევანტურ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სამსახურებს, რომელთა მიზანია ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვა და მომსახურება.

V. რატომ არ ითხოვს დახმარებას ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი?

საზოგადოებაში არსებული მითები და სტერეოტიპები დამაზიანებელ გავლენას ახდენს თავად ადრესატებზეც - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსხვერპლ ქალებზეც, მათ ცნობიერებაზე,რაც ბარიერს კიდევ უფრო მდგრადს ხდის.

სტერეოტიპული მოსაზრებები და შეგრძნებები მრავალგვარია; მათი უმეტესობა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს[19]:

- სირცხვილის განცდა იმის გამო, რაც მოხდა;

[19] Double Oppression: Violence against Disabled Women, A resource pack for practitioners, pg. 10-14 http://www.niaendingviolence.org.uk/perch/resources/double-oppression-violence-against-disabled-women.pdf

- რწმენა, რომ თვითონ იმსახურებდა იმ ძალადობრივ მოპყრობას, რომელიც მის მიმართ განხორციელდა;
- რწმენა, რომ მის მიმართ ძალადობა მისივე შეზღუდული შესაძლებლობის გამო განხორციელდა და ეს მისი ბრალია;
- ინფორმაციის უქონლობა საკუთარი უფლებებისა და იმ კანონების შესახებ, რომლებიც მას ძალადობისგან იცავს;
- იმის გაუცნობიერებლობა, რომ, რაც მოხდა, წარმოადგენს ძალადობას, ვინაიდან მასზე ამ სახით ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ზემოქმედებდნენ;
- ძალადობრივ გარემოში შშმ ქალის ყოფნა არის უალტერნატივო პირობა, რომ მას ჰქონდეს საცხოვრებელი და ჰყავდეს მზრუნველი (რომელიც, ამავე დროს, შესაძლოა, მოძალადე იყოს);
- ინსტიტუციაში მოხვედრის შიშით დამამცირებელი და არასათანადო მოპყრობის ატანა;
- ნდობის უქონლობა სამართალდამცავებისა და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ;
- წარსულში სამართალდამცავებთან, სოციალურ მუშაკებთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან ურთიერთობის დროს მიღებული უარყოფითი ხასიათის გამოცდილება;
- მოძალადის მხრიდან მსხვერპლის იზოლირების საფრთხე, რაც მას უმწეო მდგომარეობაში ამყოფებს;
- შიში იმისა, რომ არავინ დაუჯერებს და არავინ დაეხმარება;
- შიში იმისა, რომ ძალადობის შესახებ შეტყობინების შემთხვევაში მოძალადე მას დასჯის;
- შიში იმისა, რომ ძალადობის შესახებ ინფორმაციის გახმაურების შემთხვევაში ოჯახი მას შეარცხვენს, დასჯის, შვილებს წაართმევს.

ზემოაღნიშნული განწყობებისა და საზოგადოებაში მყარად დამკვიდრებული არასწორი შეხედულებების გამო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები არ ითხოვენ დახმარებას მაშინაც კი, როცა ისინი ძალადობის მსხვერპლნი არიან და თავიანთი მდგომარეობა გააზრებული აქვთ. ეს გამოწვევა არსებობს, ზოგადად, ქალების წინაშე, თუმცა გარკვეულწილად განსხვავებულ სახეს იღებს მაშინ, როცა მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალია. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან, განაგრძონ ცხოვრება ძალადობრივ გარემოში და არ გამოიყენონ სამართლებრივი მექანიზმები, როგორიცაა შეტყობინების

განხორციელება საგამოძიებო ორგანოებში ან/და სოციალური მომსახურების სააგენტოში.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ინფორმაციას ფლობდნენ საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენლები, ასევე სხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები, რათა, მიუხედავად მსხვერპლის უმოქმედობისა, დროულად და ეფექტურად განხორციელდეს როგორც შეტყობინება დანაშაულის შესახებ, ისე მისი ეფექტიანი გამოძიება და ყველა სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა დასაცავად.

VI. მითები, რომლებიც ხელს უშლის სამართალდამცავ ორგანოებს და სხვა პასუხისმგებელ პირებს ეფექტურ მუშაობაში

ხშირად ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება რომ შეუძლებელია, ან/და რეაგირება - არაეფექტური, ამას განაპირობებს არა მხოლოდ სისტემის გაუმართაობა ან მოძველებული საკანონმდებლო რეგულაციები, არამედ საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული სტერეოტიპული განწყობები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს პროფესიონალთა საქმიანობის შესრულების ხარისხზე. ამის შედეგად ძალადობის ან სხვაგვარი დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლთა დაცვა შეუძლებელი ხდება, ან, უბრალოდ, სისტემა ვერ ამჩნევს აღნიშნული სოციალური ჯგუფის წინაშე არსებულ მრავალ მწვავე სამართლებრივ პრობლემას.

მითები, რომლებიც პროფესიონალებს ხელს უშლის მუშაობაში[20]:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის მიმართ ძალადობას არავინ განახორციელებს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი არ არის სექსუალურად აქტიური და სასურველი, მას არა აქვს შესაძლებლობა, დაამყაროს იმგვარი ურთიერთობა, რომელიც შესაძლოა, მოიცავდეს ძალადობას ან გადაიზარდოს მასში;

[20] Double Oppression: Violence against Disabled Women, A resource pack for practitioners, pg.13 http://www.niaendingviolence.org.uk/perch/resources/double-oppression-violence-against-disabled-women.pdf

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები იგონებენ ისტორიებს მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ;
- ქალები ფსიქოსოციალური საჭიროებით თავად არიან მოძალადეები და არ არიან მსხვერპლები, ვინაიდან, ზოგადად, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები თავად წარმოადგენენ აგრესიულ მოძალადეებს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი არ შეიძლება იყოს ძალადობის მოწმე, ან ჩვენება მისცეს ძალადობის შემთხვევაზე;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალის მიმართ „მცირე“ ძალადობა მზრუნველის მხრიდან გასაგები და მოსალოდნელია;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებმა არ იციან, რა არის ძალადობა და მათგან ინტერვიუს აღებას აზრი არა აქვს;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები არ ფლობენ შესაბამის ინფორმაციას, რომ აირჩიონ ის, რაც მათთვის უმჯობესია. ისინი მუდმივად მსხვერპლებად დარჩებიან; ამიტომაც მათთვის დახმარების გაწევა უშედეგოა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები სიმართლეს ვერ გადმოსცემენ; შესაბამისად, მათი მონათხრობი სანდო არაა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები უფრო იშვიათად შეიძლება გახდნენ მსხვერპლები, ვიდრე სხვა ქალები.

ჩამოთვლილი მითები ამომწურავი სახით არ არის მოცემული; ისინი არც საქართველოს რეალობაზე ზემოთ აღწერილი ტენდენციების განზოგადების საშუალებას იძლევა. ისინი მიუთითებენ იმ საერთო („უნივერსალურ“) ხედვაზე, რომელიც მეტ-ნაკლებად დამკვიდრებულია ყველა საზოგადოებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებში საკუთარი თავის მიმართ არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებისგან განსხვავებით, ზემოაღნიშნული მითები, ფაქტობრივად, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების მიერ შექმნილი ბარიერებია, რომლებიც მათვე უშლის ხელს, ეფექტიანად დაიცვან სხვადასხვა შეზღუდვის მქონე მსხვერპლი ქალები. შესაბამისად, აუცილებელია არსებული დამოკიდებულების გადახედვა თავად სისტემაში, რის შედეგადაც გაიზრდება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა პროფესიული საქმიანობის ხარისხი და შესაძლებელი გახდება ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანი დაცვა.

VII.დასკვნა

ზემოთ წარმოდგენილ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებობს არაერთი ბარიერი, რაც გამორიცხავს, ან დაბალი სტანდარტით უზრუნველყოფს მათ თანაბარ და სრულ ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულების უფლებაზე. ეს დაბრკოლებები წარმოდგენილია, ძირითადად, სისტემური, პოლიტიკის და რეფერირების, კომუნიკაციის, მენტალური ბარიერების სახით, თუმცა ჩამონათვალი არ ამოწურავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით არსებული სირთულეების ფართო სპექტრს.

წინამდებარე ანალიზზე დაყრდნობით, ცალსახად ჩანს, რომ ხელმიუწვდომელი ფიზიკური გარემო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სფეროზე საზოგადოების ცნობიერების დაბალი ხარისხი, აღნიშნული საკითხების შესასწავლად სათანადოდ მომზადებული სამართალდამცავებისა და სხვა დარგის პროფესიონალი სპეციალისტების ნაკლებობა პირდაპირ უკავშირდება დანაშაულთან ბრძოლის არაეფექტიანობის საკითხს; სტატისტიკური მონაცემების უქონლობა, შესაბამისი პროგრამებისა და სერვისების არარსებობა, არამორგებული პრევენციული ღონისძიებები და სხვა გამოწვევები ხელმიუწვდომელს ხდის მართლმსაჯულების სისტემას ქალთა უდიდესი ნაწილისთვის.

აუცილებელია წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილული საბაზისო საკითხების გააზრება და, შესაბამისად, სიღრმისეული კვლევების ორგანიზება, რაც დაეხმარება აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ პირებს, გააცნობიერონ პრობლემა და გაატარონ კონცეპტუალური ცვლილებები. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს არსებული ბარიერების ნგრევას და, მეორე მხრივ, აამაღლებს სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა საქმიანობის ხარისხს, რის პირდაპირპროპორციულადაც გაიზრდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების ეფექტიანობა.

ყველა ზემოაღნიშნული აქტივობა სამართალდამცავ სისტემათა იმგვარ მოდიფიცირებას გამოიწვევს, რომ ეს პოზიტიურ გავლენას მოახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ფუნდამენტური უფლებების დაცვაზე და შექმნის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის რეალურ გარანტიებს ქვეყანაში.

VIII. მუშაობის ძირითადი პრინციპები და რეკომენდაციები

საგამოძიებო სისტემების ეფექტიანი მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მართლმსაჯულებაზე (მართლმსაჯულების ფართო გაგებით) ხელმისაწვდომობის მყარ გარანტიას იძლევა. აღნიშნულს განაპირობებს ძირითადი კონცეფციების გააზრება და პრაქტიკული გამოყენება; ამავე დროს, რეალისტურად უნდა შეფასდეს ქვეყანაში არსებული სერვისები.

ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის მიმართულებით განსახორციელებელ ღონისძიებათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აუცილებელია, არაორაზროვნად და სავალდებულო ხასიათის მქონედ იქნეს აღიარებული შემდეგი პრინციპები:

- მსხვერპლის გაძლიერება და მხარდაჭერა;
- მსხვერპლის მონათხრობის მიღება ფაქტად, რომლის საფუძველზეც აუცილებელია, დაიწყოს გამოძიება და უზრუნველყოფილი იყოს მსხვერპლის უსაფრთხოება;
- მსხვერპლის არჩევნის სათანადოდ გათვალისწინება სერვისების მიწოდების დროს;
- ჰოლისტური და მულტიდისციპლინური მიდგომა, რაც ითვალისწინებს არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების ან/და სოციალური მუშაკის ჩართულობას, არამედ იმ სპეციალისტებისაც, რომლებიც მსხვერპლს დაეხმარებიან სიტუაციის მენეჯმენტის პროცესში (ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი და ა.შ.);
- სამართლებრივი რეგულაციების გადახედვა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული, თანამედროვე ხედვის გათვალიწინებით;
- სერვისების მრავალფეროვნება და შინაარსობრივი დაგეგმვა ინკლუზიური თვალსაზრისით;

- მითების იგნორირება მუშაობის პროცესში და ყველა პოტენციური მენტალური ბარიერის პრევენცია, განსაკუთრებით - პროფესიონალ მუშაკებში და ა.შ.

დოკუმენტში აღწერილი ბარიერები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ძალადობრივ გარემოში დარჩენას განაპირობებს, თავად ძალადობას კი უხილავს ხდის მესამე პირისთვის. განსახორციელებელი რეფორმა მიზნად უნდა ისახავდეს აღნიშნული ბარიერების დაძლევას, რაც შემდეგში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიცირებას და მათ გადარჩენას უზრუნველყოფს.

ყველაზე უფრო აშკარა და რთულ დაბრკოლებას ძალადობის მსხვერპლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალისთვის ქმნის ისეთი ბარიერები, რომლებიც ძალადობისაგან თავის დაღწევას ფიზიკურად შეუძლებელს ხდის. ფიზიკური ბარიერი ხელშესახებია, რადგან შეიძლება მისი დანახვა და აღქმა; შესაბამისად, სახელმწიფოსთვის ადვილია მისი გადალახვა, რასაც ვერ ვიტყვით სხვა სახის სირთულეებზე, როგორიცაა მენტალური, ვერბალური და რეფერირების ბარიერები.

უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში უნდა შემუშავდეს უსაფრთხოების გეგმა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი, რომელიც შესაძლოა, იყოს ძალადობის მსხვერპლი, უნდა ფლობდეს სრულ, დეტალურ ინფორმაციას უსაფრთხოების საშუალებებზე. ამისათვის აუცილებელია, ქვეყანაში იყოს როგორც დროებითი, საფრთხისგან მყისიერად თავის დაღწევის მიზნით არსებული კრიზისული ცენტრები, ასევე თავშესაფრები, რომლებშიც, აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელი უნდა იყოს დაზარალებულის მოთავსება ხანგრძლივი ვადით; ისინი ფიზიკურად ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის და დააკმაყოფილებს ნებისმიერი სოციალური ჯგუფის მსხვერპლთა საჭიროებებს.

მნიშვნელოვანია მენტალური ბარიერის დასაძლევად მიმართული კამპანიები, რომელთა სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს როგორც თავად მსხვერპლი ქალები, ისე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. ამიტომ აუცილებელია ამ უკანასკნელთათვის ტრენინგების ინტენსიური კურსების ჩატარება და კვალიფიკაციის ამაღლება აღნიშნული მიმართულებით; ამის პარალელურად, სახელმწიფო სერვისების მიწოდებაზე უფლებამოსილი პირები და სხვა ორგანიზაციები მუდმივად უნდა ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებთან მათთვის უსაფრთხოების და

სახელმწიფო სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდების მიზნით. მენტალური ბარიერის ნგრევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მხრიდან შეტყობინებათა რიცხვის ზრდის პირდაპირპროპორციულია; ხოლო შემთხვევათა იდენტიფიცირების ფაქტების რაოდენობა თუ მოიმატებს, მკვეთრად ამაღლდება როგორც გამოძიების, ისე სერვისების ინფრასტრუქტურათა ხარისხი.

აუცილებელია, სახელმწიფომ ძალადობის მსხვერპლ ქალებს მეტ-ნაკლებად სრული და ხარისხიანი მომსახურება შესთავაზოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერვისების მრავალფეროვნება, სანდოობა და მდგრადობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის, რომლებიც ემსხვერპლნენ მომვლელის, მათთვის ერთადერთი მზრუნველი პირის, ძალადობას. ამ შემთხვევაში ქალს არა აქვს არჩევანი; ის იმთავითვე შეზღუდულია, რადგან ძალადობრივი გარემოდან თავის დაღწევა სულაც არ გულისხმობს უკეთეს გარემოს. სახელმწიფო სერვისების განვითარების დაბალი დონე ამის გარანტიას არ იძლევა; პირიქით, ქალის ცხოვრების პირობები შეიძლება გაუარესდეს კიდეც და დაზარალებული სამუდამოდ აღმოჩნდეს სახელმწიფო სამზრუნველო დაწესებულებაში, მაშინ, როცა მას შესაძლებლობა აქვს, იცხოვროს დამოუკიდებლად, როგორც საზოგადოების წევრმა.

სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ნორმატიულად გაიწეროს მოქმედებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს მაშინ, როდესაც მსხვერპლი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი. იმთავითვე არასწორია ხედვა, რომ ქვეყანაში არსებობს რეგულაციები, ზოგადად, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და ისინი გამოდგება აღნიშნული დანაშაულის ყველა მსხვერპლის შემთხვევაში. ყოველი სოციალური ჯგუფი ინდივიდუალურ სამართლებრივ მექანიზმს საჭიროებს. მაგალითად, თუ პოლიციელი არ ფლობს შესაბამის ინფორმაციას და არ არის აღჭურვილი მსხვერპლზე მორგებული დაცვის საშუალებებით, ის სპეციალური საჭიროების მქონე დაზარალებულის ეფექტიანად მომსახურებას ვერ შეძლებს.

სხვადასხვა ქვეყნის სისტემაში ხშირად მიმართავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების მეთოდს, რომლის მეშვეობითაც გაცილებით მოკლე დროში ხერხდება ბარიერების იდენტიფიცირება და პრობლემის გადაჭრის რეალისტური მეთოდების ძიება/გამოყენება. მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს ასევე სპეციალური დეპარტამენტების ან

სპეციალიზებული პოლიციელების/პროკურორების ჩართვა სამართალდამცავი ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობაში.

ბიბლიოგრაფია

1. გამოყენებული ლიტერატურა

Eilionoir Flynn, 'Disabled Justice? Access to Justice and the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities', 2015, National University of Ireland, Galway, Published by Ashgate Publishing Limited, England.

2. გამოყენებული ინტერნეტრესურსები

1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 2014 წლის სტატისტიკური მონაცემები www.police.ge;
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატისტიკა საქართველოში (2015) https://idfi.ge/ge/statistics-of-persons-with-disabilities;
3. Cramer Ch., 'Unemployment and Participation in Violence', World Development Report, 2011 http://web.worldbank.org/archive/website01306/web/pdf/wdr%20background%20paper%20-%20cramer.pdf;
4. 'Disabilities and Rehabilitation -Violence against Adults and Children with Disabilities', WHO http://www.who.int/disabilities/violence/en/;
5. Double Oppression: Violence against Disabled Women, A resource pack for practitioners http://www.niaendingviolence.org.uk/perch/resources/double-oppression-violence-against-disabled-women.pdf;
6. Disability and Health, Fact sheet N°352, WHO

http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs352/en/;

7. Hughes K., Bellis M.A., Jones L., Wood S., Bates G., Eckley L., McCoy E., Mikton Ch., Shakespeare T., Officer A., 'Prevalence and risk of violence against adults with disabilities: a systematic review and meta-analysis of observational studies', 2012 http://www.who.int/disabilities/publications/violence_children_lancet.pdf,
8. Johnson I., Sigler R. 'Forced Sexual Intercourse among Intimates', Journal of Interpersonal Violence. 15(1) (2000) http://empower-daphne.psy.unipd.it/userfiles/file/pdf/Johnson%20I_%20-%202000.pdf;
9. Kimberly Black Wisseman, 'You're My Pretty Bird in a Cage: Disability, Domestic Violence, and Survival', University of Minnesota http://ici.umn.edu/products/impact/133/over1.html;
10. Report of the Special Rapporteur on violence against women, its causes and consequences, Rashida Manjoo* 2013, United Nations General Assembly http://www.ohchr.org/Documents/HRBodies/HRCouncil/RegularSession/Session23/A_HRC_23_49_English.pdf;
11. Violence against women with disabilities, Women with Disabilities, Victoria, Empowering women, Fact Sheet 3 http://www.wdv.org.au/documents/Fact%20Sheet%203%20Violence.pdf;
12. 'Women with Disabilities and Violence - Intimate partner violence: A hidden reality' http://www.dawncanada.net/issues/issues/fact-sheets-2/violence/;
13. Women with Disabilities and Violence, Fact Sheet, Disabled Women's Network of Canada (DAWN-RAFH), 2010 http://www.canadianwomen.org/sites/canadianwomen.org/files/FactSheet-StopViolence-ACTIVE_0.pdf;
14. 'Wages and Hours Worked: Workers with Disabilities for the Work Being Performed', United States Department of Labor http://www.dol.gov/compliance/guide/flsa14c.htm;
15. Young M.E., Nosek M.A., Howland C.A, Chanpong G., and Rintala D.H., Prevalence of Abuse of Women with Physical Disabilities. Archives of Physical Medicine and Rehabilitation, 1997 http://vaw.sagepub.com/content/7/1/60.abstract;